

აკორონიკა

ონოფრიოვილი
რკინიგზაში
არსებულ
კორუფციას
საუბარს იწყებს



"საქართველოს რკინიგზაში" ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული ფინანსური შემოწმების შედეგად, რამდენიმე მილიონ ლარის ზარალი იქნა გამოვლენილი

A4

უსხოეთი

საყიდვლებზე
ნაწილი
პარაბრაულები
ხანძრის მსხვერპლნი
ბანდნან



ასუსნიონში გაჩენილმა ხანძარმა ასობით ადამიანი იმსხვერპლა, გადარჩენილები კი მალაზიის დირექციას ადანაშაულებენ

A5

სამართალი

ადამიანის უფლებები
სინჯვის და
ბარათის
ერთნაირად ირღვევა



ომბუდსმენობის კანდიდატი ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირებას ითხოვს

A7

სამართალი

ამ უდაბნოში
ხატად დამკვს
შენი სოფლები



რეზო თაბუკაშვილის უკანასკნელი ინტერვიუ

B1

ანიონი

3/8 4/8

თბილისი	36	33
ქუთაისი	41	34
ბათუმი	42	31
სოხუმი	38	31
ფოთი	41	33
თელავი	34	32
ზუგდიდი	41	35
ბორჯომი	34	29

უსხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8900
ევრო	2.2797
გირვანაქა სტერლ.	3.4343
რუბლი	0.0649

ადამიანის ბატაცება დაბაბილი დივარსია საქართველოს წინააღმდეგ



ბაბაბილი დივარსია

ორი ყველაზე
განხილვადი
გაბატაცება -
ესპანელი
ბიზნესმენი
("ზევიტი") და
პიტერ შოუ
("ქვევიტი").
მძევლები
გაათავისუფლეს.
მაგრამ ძიება
არც ერთ
საქმეზე
ბოლომდე არ
მისულა.

ინგა ალავიძე

დანაშაულის ერთ-ერთმა სახეობამ - ადამიანის გაბატაცებამ ბოლო წლებში საქართველოში ორ განიხილვადი დანაშაულის სახე მიიღო. თავდაპირველად, ამ დანაშაულს, უმეტესად, საფუძვლად პოლიტიკური სარჩული ედო, ანუ, ადამიანის გაბატაცებები, მართალია, ფულის გამოძალის მიზნით ხდებოდა, მაგრამ მაინც - პოლიტიკური მიზნით. ამის დასტურია 2001-2003 წლებში, ძირითადად, პანკისის ხეობაში მომხდარი რეზონანსული გაბატაცებები, რომელთა გამოც, საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს იმიჯი სერიოზულად შეილახა.

ადამიანის გაბატაცებამ საქართველოში იმდენად მასშტაბური სახე მიიღო, რომ სამართალდამცველებმა იგი საერთო კრიმინალური სტატისტიკიდანაც კი ამოიღეს და განსაკუთრებული დანაშაულის კვალიფიკაცია მისცეს.

"ეს იყო საქართველოს წინააღმდეგ კარგად დაგეგმილი დივერსია, ამიტომაც, რა თქმა უნდა, იმ ტოტალურ გაბატაცებებს,

რაც ხდებოდა, პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. ძალზე სერიოზულად მუშაობდა ფცხ და რუსეთის სხვა სპეცსამსახურები, მათ საქმიანობას რამდენიმე მიზეზი ედო საფუძველად. რუსეთი საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე ტერორისტულ იმიჯს უქმნიდა;

ბაზრძალა A3 ბავრძა

კონფლიქტის პრობლემატიკა ოქანის გაღმადან

გთავაზობთ ექსპერტების
მოსაზრებებს "სამხრეთ ოსეთის"
თემაზე, რომელიც საერთაშორისო
საინფორმაციო სააგენტო
"ვანგუტონ პროფაილის" მიერ
გამოქვეყნდა.

არიელ კოენი,
ფონდ "მემკვიდრეობის"
წამყვანი მეცნიერ-მუშაკი.

-როგორ შეაფასებდით "სამხრეთ ოსეთის" დაკავშირებულ ვითარებას?

- რა თქმა უნდა, მოსკოვი სიგნალს უგზავნის "სამხრეთ ოსეთის" იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა თბილისთან დაკავშირებით მაქსიმალურად მკვეთრი პოზიცია დაიკავოს. "სამხრეთ ოსეთი" - ეს სახელმწიფო კი არა, რაღაც ანკლავია. ძლიერი მეზობლის მხარდაჭერის გარეშე იგი აქამდე დათანხმებულა და მოლაპარაკებებს საქართველოს შემადგენლობაში ინტეგრაციის შესახებ. "სამხრეთ ოსეთს" ანტიქართული პოზიცია უკავია, მისი ლიდერები კი აკეთებენ განცხადებებს საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლის და რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. ვასაგებია, რომ მოსკოვის ფარული მხარდაჭერის გარეშე ეს არ მოხდებოდა.

ბაზრძალა A2 ბავრძა

რეპრესიები თავისუფალი მედის წინააღმდეგ

პარლამენტარი საკუთარი
ფინანსური საქმიანობის
გამოაშკარავებს
ერიდება

შსს შიდა ქართლის სამხარეო სამართლებრივ ნარმომადგენლებმა ორმაბათის დილით გორში დააკავეს "ხალხის გაზეთის" მთავარი რედაქტორი რევაზ ოქრუაშვილი. დაკავებისთანავე მათ განხრეკეს რედაქციის ოფისი ისე, რომ არ გაჩნდეთ სათანადო დოკუმენტაცია. როგორც შიდა ქართლის სამხარეო სამართლებრივ უფროსმა ალექსანდრე სუბიტაშვილმა განაცხადა, მათ ჩხრეკა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარეს და ამით კანონი არ დაურღვევიათ. ჩხრეკის შედეგად, რომელსაც რედაქციის არც ერთი წევრი არ დაასწრეს, რედაქციის ოფისი დარბულს უფრო ჰგავდა. "ჩვენ გვექონდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ შეიძლება ყოფილიყო ნარკოტიკული ნივთიერება. როდის და ვისგან მივიღეთ ინფორმაცია, ეს ჩვენი პირადი საკითხებია. ამისთვის ყველა დოკუმენტაციაა," - განაცხადა სუბიტაშვილმა.

ბაზრძალა A2 ბავრძა

დაივიწყეთ "დეფიციტური", დაიხსოვთ "პროფიციტური"

გიორგი ასანიშვილი

ერთი თვის წინათ, როდესაც პრემიერ-მინისტრმა პირველად ახსენა "პროფიციტური ბიუჯეტი", ზოგს, შესაძლოა, მოეჩვენა, რომ ზურაბ ჟვანიას სიტყვა შეეშალა ან ის არასწორად წარმოთქვა. მართლაც, ქართულ სახელისუფლებო ლექსიკაში ეს ტერმინი მანამდე თითქმის არ გამოიყენებოდა. ძირითადად, დამკვიდრებული იყო სისტემატური ხმარებისგან ლამის გაცეითილი გამოთქმები - "დეფიციტური", "ვარლვეული", "სეკესტრი"... ვარდების რევოლუციის შემდეგ ეს ნაცნობი სიტყვები თანდათან დაიწყებდას იძლევა და მათ ადგილს ყუიისთვის ვერ კიდევ უტოო "პროფიციტური ბიუჯეტი" იკავებს.

ბაზრძალა A2 ბავრძა

ევროკავშირი ჩერე-ქართულ ორბანიზებულ დანაშაულებრივ ტბუფებზე საუბრობს

ევროკავშირი შემფოთებულა და ზოგიერთ ქვეყანაში კორუფციის ფაქტების მომარადლებაზე, ადამიანებით ვაჭრობასა და ორგანიზებული ეკონომიკური დანაშაულების ზრდაზე მოუთითებს. ევროკავშირი უკვე ოთხი ათასამდე დანაშაულებრივ დაჯგუფებას ითვლის, რომლებშიც, სულ ცოტა, 40 ათასი წევრია გაერთიანებული. არსებული მონაცემებით, იარაღისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის შემდეგ, მესამე ადგილზე ადამიანით ვაჭრობა დგას და ზოგ შემთხვევაში ეს შავი ბიზნესი შემოსავლებით ნარკო და იარაღის უკანონო ბიზნესს უსწრებს კიდევ. ევროკავშირის

ექსპერტთა მონაცემებით, ადამიანით ვაჭრობის ერთ-ერთი დანაშაულებრივი სახე - ადამიანის რცვლებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და განვითარების ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ამ ქვეყნებში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების სოლიდური შემოსავლების წყარო გახდა. კრიმინალის ამ სახემ 90-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო "განვითარება". ევროკავშირის ინფორმაციით, ადამიანის გაბატაცება ყველაზე მეტად არის გავრცელებული ჩრდილოეთ კავკასიაში. ექსპერტთა ამ ანალიზით, ლდერის პო-

ზიცია ჩეჩნეთს უკავია და მასთან არის მიბმული პანკისის ხეობა. გერმანული გაზეთის Handelsblatt-ის ცნობით, ამჟამად ევროკავშირის საზღვრებს უკვე კვეთს ტონობით ნარკოტიკების კონტრაბანდული პარტიები. ვარდა ამისა, ვაზრდილია ადამიანებითა და იარაღით ვაჭრობის ფაქტებიც. "ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუ რა კარგად გრძობენ თავს დსთ-ს ქვეყნებიდან გამოსული დანაშაულებრივი სინდიკატები ევროკავშირში განვერიანების კანდიდატ ქვეყნებში. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ორგანიზებული დანაშაულებრივი საუბრობა ისე მკვეთრად მზარდი არ

არის, როგორც პოსტკომუნისტურ ცენტრალურ ევროპაში, რომელიც დანაშაულებრივმა სინდიკატებმა იმთავითვე აირჩიეს დასავლეთ ევროპაზე შესატყვევად. - ნერს თავის ახალ წიგნში, სახელწოდებით "განგსტრები აღმოსავლეთიდან. დანაშაულების ახალი გზები", ცნობილი ჟურნალისტი, მაფიის შესახებ არაერთი წიგნის ავტორი იურგენ როტი და რუსეთში მოქმედ ქართულ მაფიას, რომელიც ადამიანის გაბატაცებითაც სერიოზულად არის დაკავებული, ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებად მიიჩნევს.

ბაზრძალა A2 ბავრძა

ადამიანის ბატასება

დაბეზილი დივირსია

საქართველოს წინააღმდეგ

პირადი გავრცელება

ქმნიდა ფონს, რომ საქართველოში უცხოელი ბიზნესმენებისთვის საშიში გარემო იყო და მესამე, ეს გახლდათ საქართველოს დაკავშირება ჩეჩნეთში მიმდინარე სამომაროქოებთან, უფრო ზუსტად, ვეროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მტკიცება, რომ ჩეჩნების, რომელთა დაცვასაც საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებდნენ, ორგანიზებულ დანაშაულებრივი სინდიკატის წამყვან წევრებად გამოცხადება.

ამ დიდი პოლიტიკური ინტერესების განხორციელებაში მონაწილეობას ქართველი მაღალჩინოსნებიც იღებდნენ. მართალია, საზოგადოებისთვის ცნობილია იმ ქართველ მაღალჩინოსანთა გვარები, ვინც რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იყო გამოყენებული, მაგრამ ეს საკითხიც ბოლომდე არ არის გამოფრული. მუშაობდა კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც მხოლოდ სამართალდამცველი სტრუქტურების წარმომადგენლები არ შედიოდნენ, ის დაკომპლექტებული იყო გაცილებით მაღალი უმუშაოების წარმომადგენლებით," - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა ექსპერტმა კავკასიურ საკითხებში მამუკა არეშიძემ.

უმშრომების სამინისტროს ანალიტიკური ბიუროს ყოფილი ხელმძღვანელის ბესო ოზოლასისა და მისი ჯგუფის მიერ გაკეთებული ანალიზის თანახმად, ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე მოვლენები ადეკვატურად აისახება საქართველოში პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კრიმინოლოგიურ ვითარებაზე. მათივე ადასტურებით, რუსეთისთვის კახეთის რეგიონი გახდა ინსტიტუტული საქართველოზე სერიოზული პოლიტიკური ზემოქმედებისთვის და ამიტომაც, პანკისის ხეობა რუსეთის სპეცსამსახურების ყურადღების ცენტრში მოექცა. არსებული საშუალებებით რუსეთს შეუძლია პროვოკაციებისა და არეულობების მო-



შოთა ჭიჭიაშვილის თბილისში ჩამოყვანის შემდეგ თითქოს ბევრი გახმაურებული გატაცება უნდა გახსნილიყო, თუმცა ეს ასე არ მოხდა. საქმეთა უმეტესი ნაწილი გაუხსნელი დარჩა.

წყობა, არა მარტო ხეობის მასშტაბით, საერთოდ - ქვეყნის მასშტაბითაც. "პანკისის ხეობა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე თავისებური და უმნიშვნელოვანესი სასაზღვრო ზოლია. იგი საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, კარგა ხანია, ერთიანი ქართული სივრცის ატორიტორულ მხარედ იქცა. პანკისი, ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების დაწყებისა და გააქტიურების შედეგად, მუდმივი დაძაბულობის კერა გახდა და ჩამოყვანილი, როგორც ნარკოტიკების, ადამიანების გატაცების, იარაღი ვაჭრობის ასპარეზი. ბოლო წლებში მანძილზე, ხეობაში მომრავლ-

და მაფიოზური კლანები, შესაძლებელია გააქტიურდა უცხო ქვეყნების აგენტურა. მდგომარეობის გაართულება თბილისშიც არაერთი აძლევს ხელს. ქაოტური, უმართავი სიტუაცია პანკისში საუკეთესო საშუალებაა მათი ინტერესების განხორციელებისათვის, რადგან ძალდატანება უფლები ქმნის, ფული კი პანკისში ნარკოტიკებით, იარაღითა და ადამიანებით ვაჭრობით კეთდება," - ასეთია საქართველოს უშიშროების სამინისტროს ანალიტიკოსთა დასკვნა.

მართალია, გავრცელებული ინფორმაციით, გახმაურებული გატაცებებს ქართველი მაღალჩინოსნები გეგმავდნენ, მაგრამ არ ყოფილა შემ-

თხვევა, ამ ბრალდებით რომელიმე მათგანი დაეკავებინათ. მეტიც, მამუკა არეშიძის ინფორმაციით, ესპანელი ბიზნესმენების საქმეში ჩართული იყო პოლიციის მაღალჩინოსანი, რომელიც მძევლების გადაადგილებას აცილებდა და რომელიც ახლაც შსს-ს სტრუქტურაში მუშაობს. "ოპელისა" და "ნივის" მარკის მანქანებში ისხდნენ გატაცებული ესპანელები, მათთან ერთად იმყოფებოდა შოთა ჭიჭიაშვილი და პოლიციის მაღალჩინოსანი, რომელიც ახლაც შსს-ს ერთ-ერთ უწყებაში კვლავ თანამდებობაზე მუშაობს. გატაცებულებმა სწორედ მისი დახმარებით გადალახეს საგუბროს სხვადასხვა მამუკა არეშიძემ, რომლის თქმითაც, იგი მზად არის ითანამშრომლოს სამართალდამცველ სტრუქტურებთან და მის ხელ არსებული სოლოდური ინფორმაციები მიანოდოს. "სამართალდამცველი უწყებების სათავეებში დღეს არიან ადამიანები, ვისაც რეალურად მუშაობის სურვილი გააჩნიათ, თუმცა, ისინი კონკრეტულ დაქტებზე დეტალურ ინფორმაციებს არ ფლობენ. ერთიანად, ამ უწყებების ქვედა რგოლებში დღესაც მუშაობენ ადამიანები, რომელთაც ხელს არ აძლევთ ამ საქმეების განხილვა. მე ვიფიქრებ, იტალიელი ჟურნალისტის მკვლელობის საქმე გადასინჯულიყო, რადგან სოლიდური ინფორმაციები მივიღე ამ ფაქტზე, მაგრამ რატომღაც არავინ დაინტერესებულა. ძალიან მიკვირს, რატომ არ დაძვირეს ამ გატაცებებთან დაკავშირებით, მით უმეტეს, ყველასთვის ცნობილი იყო, რომ 22 გატაცებულის გათავისუფლების საქმეში ემონანლიეობდი და ძალზე მნიშვნელოვანი დაზუსტებული ინფორმაციები მომეპოვება," - აცხადებს მამუკა არეშიძე.

შსს-ს სტატისტიკა

ადამიანის

ბატასების შესახებ

ადამიანის გატაცებამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ შსს-მ ამ დანაშაულს სპეციალური სტატისტიკური გამოკვლევა მიუძღვნა და ინფორმაციის, რომელიც სპეციალურად პრეზიდენტ შევარდნაძისთვის იმზავდა, გრიფი "საიდუმლო" დაედო. მოგვიანებით, ადამიანის გატაცების შესახებ არსებული გასაიდუმლოებული ინფორმაცია გაიხსნა.

მართალია, წინა და გასული წლების გახმაურებული გატაცებები ისევ ბურუსითაა მოცული და მასზე საუბარს სამართალდამცველები თავს ისევ ცნობილი ფრაზით არიდებენ - ინფორმაცია გვექვს, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ვერაფერს ვიტყვი, სამაგიეროდ, საამქარაოზე ახალი, ნაკლებად გახმაურებული, მაგრამ უკვე გახსნილი ფაქტები გამოაქვთ და განუვლი სამუშაოთი ამყოფენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივი ნარმომადგენელთა განცხადებით, "წინა წლებთან შედარებით, 2004 წლის მონაცემები, აშკარად დანაშაულის კლების ტენდენციაც შეტყვევებს. მათივე თქმით, გაზრდილია დანაშაულის გახსნის მაჩვენებელიც". შსს-ს მიერ შედგენილი ოფიციალური სტატისტიკით:

2002 წელს საქართველოში ადამიანის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის 85 ფაქტია რეგისტრირებული, გაიხსნა 77 ფაქტი. ფულის გამოძალვის მიზნით გატაცეს 30 ადამიანი, ცოლად შერთვის მიზნით - 46, ხოლო მძევლად აყვანის მიზნით - 9 ადამიანი.

2003 წელს საქართველოში ადამიანის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის, ანუ ადამიანის გატაცების 84 შემთხვევაა რეგისტრირებული, გახსნილია 76. აქედან 46 ადამიანი ცოლად შერთვის მიზნით გატაცეს, 27 ადამიანი გატაცებულია ფულის გამოძალვის მიზნით; მძევლად აყვანის მიზნით - 11 ადამიანი;

წლის 6 თვეში რეგისტრირებულია ადამიანის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის 47 ფაქტი, გახსნილია 37; ფულის გამოძალვის მიზნით გატაცებულია 13, მძევლად აიყვანეს 7, ხოლო ცოლად შერთვის მიზნით გატაცეს 27 ადამიანი.

ადამიანის ბატასებაზე ჭკუფობი

საქართველოს უშიშროების სამინისტროს ანალიტიკოსთა მიერ მომზადებული ინფორმაციით, რუსეთის სპეცსამსახურებმა, თავის დროზე შეადგინეს 70 ჩეჩნური დაჯგუფების ხელმძღვანელთა სია. 2002 წლის პირილის ბოლოსათვის ის სიაში შეყვანილი "ნაკვეთ მეთაურების" მხოლოდ მეოთხედი იყო დარჩენილი - ზოგი მოკლეს, ზოგი დააპატიმრეს. საინფორმაციო სააგენტო "უტრომ" გამოაქვეყნა რუსეთის სპეცსამსახურების მონაცემები იმ ნაკვეთ მეთაურთა შესახებ, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულებრივი საქმიანობით იყვნენ დაკავებული, მათ შორის, ადამიანის გატაცებებით და ორგანიზებულ დანაშაულებრივ სინდიკატთან იყვნენ დაკავშირებულნი. გამოქვეყნებული სიიდან რომდენიმე მათგანს პანკისის ხეობაში მოქმედებდა და პანკისის ხეობელ ადამიანის გატაცებებთან არაერთი გახმაურებული გატაცების ორგანიზატორები იყვნენ. საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტმა ამ დაჯგუფებების მიერ ჩეჩნეთში გატაცებული 22 ადამიანი გამოიხსნა ტყვეობიდან.

რიზვან ახმადოვი - ზანდა შედეგებად ექვსი მძა ახმადოვიდან, რომლებიც უშუალოდ ადამიანთა გატაცებაზე იყვნენ სპეციალიზირებული. ადამიანთა გატაცებებში, მძები ახმადოვები - აბუ, რიზვანი, რამზანი, უვაისი, რუსლანი და აბტი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ და მათ სახელთან არაერთი რეზონანსული გატაცება დაკავშირდა. ისინი გატაცებულებს სასტიკად უსწორდებოდნენ. რუსეთის სპეცსამსახურებმა ახმადოვების ბანდის მიკვლევა იცა მოახდინეს - ნაწილი ახმადოვებისა მოკლეს, რამდენიმე კი დააპატიმრეს. კარგა ხანს ცოცხლად დარჩენილი და მართლმსაჯულებას გადაინაწილეს საში მძა ახმადოვი, თავიანთი ბანდის წევრებთან ერთად, საქართველოში, კერძოდ, პანკისის ხეობაში იმყოფებოდნენ. ცნობილი ფაქტია, რომ ახმადოვებს პარტნიორებს უწყევდა პანკისელი შოთა ჭიჭიაშვილი. ახმადოვების სახელს დაუკავშირდა ესპანელი ბიზნესმენებისა და მამა ბასილის გატაცება. არსებული ინფორმაციით, ახმადოვები შემწახავის უწყისას ასრულებდნენ.

რუსული საინფორმაციო საშუალებები ახმადოვების "პანკისური კვალის" თაობაზე გავრცელებული ცნობების განსამტკიცებლად ძალას იმუშობენ. მაგალითად, გახსენია "კოლმის დაგვევი პრეზიდენტი" გამოაქვეყნებული ლუგოვსა და უვაისი ახმადოვის შორის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი. ჩანაწერში ასეთ ფრაზასაც შეხვდებით: "რაც შევარდნამ ჩეჩენების გააკეთა, ამას არც ერთი მუსულმანური სახელმწიფო არ გააკეთებდა". სხვათა შორის, ახმადოვებისა და ჭიჭიაშვილის დასაპატიმრებლად პანკისის ხეობის სოფელ ხალანაში დაგვევილი სპეცოპერაცია გაიყვანა, რის შედეგადაც, ახმადოვებმა და ჭიჭიაშვილმა პანკისის ხეობიდან გასვლა მოახერხეს. გავრცელებული ინფორმაციით, ოპერაციის თაობაზე "შეწყობინება" ჭიჭიაშვილს მისმა მეგობარმა მაღალჩინოსანმა მიწოდდა.

ვლადიმერ იაისი - ოპერატიული ინფორმაციით, იმნი ჯგუფიც პანკისის ხეობაში იმყოფებოდა და ადამიანის გატაცებაზე მუშაობდა. არბი ბარაევი - ბარაევის 100-კაციანი რაზმიც ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ დაჯგუფებად ითვლებოდა და არაერთი გახმაურებული გატაცების საქმე მათ სახელთანაა დაკავშირებული. ბარაევის პარტნიორი გახლდათ ახმადოვის ჯგუფი და მას კავშირები ჰქონდა პანკისის ხეობელ ადამიანის გატაცებებთან.

ზისლან ხასაევი - იგივე დანიშნულება ჰქონდა ბარაევის მარჯვენა ხელის ხასაევის დაჯგუფებას. აბტი ჯაბაროლი - მის ჯგუფში 15 კაცი იყო გავრთიანებული და არაერთი გატაცების ორგანიზატორი გახლდათ, კარგა ხნის მანძილზე დაბანაკებული იყვნენ პანკისის ხეობაში, კავშირი ჰქონდათ პანკისის ხეობელ გატაცებულებთან. აბდულ-მალკი შეყიღოვი - ის თავის ბანდასთან ერთად საქმიანობდა პანკისის ხეობასა და ინგუშეთის ტერიტორიაზე.

როტშილდი საქართველოში

საქართველოში გუშინ ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ინგლისელი ფინანსისტი, როტშილდის საინვესტიციო ფონდის ხელმძღვანელი ნათანიელ როტშილდი. იგი საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს შეხვდა და პრეზიდენტ სააკაშვილთან შესახვედრად ბათუმს გაემგზავრა. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრაც.

თამარ ივანიძე

ნათანიელ ჩარლს ჯეიკობ როტშილდი მეოთხე ბარონი როტშილდია, ცნობილი ფინანსისტების ოჯახის ბრიტანეთის შტოს ხელმძღვანელი. იგი არის საინვესტიციო ბანკების "RIT Capital Partners" და "St James Place Capital" და სადაზღვევო კომპანიის "J Rothschild Assurance" ხელმძღვანელი. მისი პირადი ქონება შეფასებულია 400 მილიონ ფუნტად, ანუ - 700 მილიონ დოლარად. ლორდი როტშილდი განათლებით ისტორიკოსია. იგი დიდ მონაწილეობას იღებს ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაციების და საზოგადოებრივი საქმიანობის მოღვაწეობაში.

ლორდი როტშილდი ამ მიმართულებით აქტიურად მღვაწეობს რუსეთში. მისი სახელის ირგვლივ სერიოზული აუთორიტეტი იყო ატეხილი "იუკოსთან" დაკავშირებით, როცა გაგრძელდა ინფორმაცია, რომ დაპატიმრებულმა მიხეილ ხადარკოვსკიმ საკუთარი აქციების მართვაში გადაცემა როტშილდისათვის გადაწყვიტა. საინტერესოა, რომ რუსული საინფორმაციო საშუალებები როტშილდის ფონდის მიერ "იუკოსის" აქციების ფლობაზეც წერდნენ, თუმცა თავად მისი წარმომადგენლები ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფდნენ. ოფიციალური ინფორმაციით, როტშილდი რუსეთში მხოლოდ "ჰუმანიტარული", "კულტურული" და მეგობრული ინტერესები აქვს. როგ-

ორც უკვე აღვნიშნეთ, მის მეგობრებს შორის მიხეილ ხადარკოვსკიც მოიხსენიება.

რაც შეეხება საქართველოში მის გემგმებს.

"ქართველ ბიზნესმენებთან და ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრით, საქართველოში სოლიდური კაპიტალის ჩადება გეგმურს. დაინტერესდებით საქართველოს საბანკო სისტემითაც," - განაცხადა ნათანიელ როტშილდმა.

საქართველოში ჩამოსვლამდე ლორდი როტშილდი ორდღიანი საქმიანი შეხვედრით ელისტამი იმყოფებოდა, სადაც გააკეთა კომენტარი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პრეზიდენტის ყალბუხეთში მიწვევას აპირებს.

"თბილისში არასოდეს ვყოფილავ. უახლოეს ხანებში ვგეგმავ საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით, სააკაშვილის მიწვევას ყალბუხეთში. იმისათვის, რომ სააკაშვილმა დაინახოს, რას მიაღწია კირსანილი მკითხველმა, როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტმა," - განაცხადა როტშილდმა ელისტამი გამართულ პრესკონფერენციაზე.

როტშილდმა აღნიშნა, რომ ყალბუხეთის განსაკუთრებული ადგილი უკავია რუსეთის იმ რეგიონებს შორის, რომელსაც ოდესმე სწევია.

"უნდა განვაცხადო, რომ ჩანახა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა," - აღნიშნა მან. ნათანიელ როტშილდი ყალბუხეთის პრეზიდენტთან შეხვედრის და იქ რესპუბლიკის ეკონომიკის გასაცნობად ჩავიდა.

ონოფრიშვილი რკინიგზაში არსებულ კორუფციასა და საუბარს იწყებს

"საქართველოს რკინიგზის" ახალი ხელმძღვანელი დავით ონოფრიშვილი რკინიგზაში არსებულ კორუფციულ ფაქტებზე საუბარს თავად იწყებს. გუშინ მან ამ თემაზე პრესკონფერენცია მოიწვია და განაცხადა, რომ შპს "საქართველოს რკინიგზაში" ხელმძღვანელების მიერ ჩატარებული ფინანსური შემოწმების შედეგად, რამდენიმე მილიონ ლარის ზარალი იქნა გამოვლენილი და ათამდე ადამიანი სამსახურიდან დაითხოვეს.



საქართველოს რკინიგზაში ხელმძღვანელების მიერ ჩატარებული ფინანსური შემოწმების შედეგად, რამდენიმე მილიონ ლარის ზარალი იქნა გამოვლენილი

ონოფრიშვილის განცხადებით, რკინიგზის ტერიტორიულ სამმართველოებში ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ როგ სადგურებში (სენაკი, ბორჯომი, ჯუმათი, სუფსა, საჯავახო, ნატანები და სხვ.) ადგილი ჰქონდა ვაგონების დაყვანების არაერთ შემთხვევას, თუმცა ამ დროს წესის შესაბამისად თანხების დარიცხვა არ ხდებოდა, რითაც რკინიგზას 4

კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი სავაჭრო ბარიერების მოსპობისაკენ

თორნიკე შარაშენიძე

შვეიცარიის ქალაქ ფენევაში მოსვლილი სავაჭრო ორგანიზაციის ეგიდით გამართულ მოლაპარაკებებზე ისტორიული შეთანხმების მიღწევა მოხერხდა, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიზელი მსოფლიოს მასშტაბით. ზუთადღიანი ვახუშტის შემდეგ, ორგანიზაციის უკლებლივ ყველა, 147-მა ქვეყანამ მხარი დაუჭირა შეთანხმებას, რომელიც მდიდარი სახელმწიფოებში ფერხრათის სუბსიდიების გაუქმებას ითვალისწინებს. ამის სანაცვლოდ, განვითარებადი ქვეყნები ვალდებული იქნებიან, სამრეწველო პროდუქციისათვის თავიანთი ბაზრები გახსნან.

ფერმერთა სუბსიდირება განვითარებულ სამყაროში დიდი ხნის წინ იქცა

მაფარი კრიტიკის ობიექტად. მეზარევენი ეკონომისტებისა თუ პოლიტიკოსებისათვის ეს მოვლენა პროტექციონიზმი და კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობად აღიქვამდა. იყო დარბილნი სავაჭრო კორპორაციების მიერ შედგენილი ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა, ამას უსამართლო ჩაგვრად აღიქვამდა: სუბსიდიების წყალობით ევროპული ფერმერები არა მხოლოდ ვერხზე დგანან, არამედ მათი პროდუქცია იაფდება და მსოფლიო ბაზარზე არაბუნებრივად კონკურენტუნარიანი.

ფერმერთა სუბსიდირებამ განსაკუთრებით დიდი მასშტაბები ევროპაში მიიღო და ამ მხრივ ყველაფერს საფრანგეთი გამოირჩეოდა, რომელიც ვაჭრობის ლიბერალიზაციას ყველაზე დიდი სკეპტიციზმით უყურებდა. საფრანგეთის გარდა, უკმაყოფილება კიდევ არაერთ ევროპულ სახელმწიფოს წარმო-

მადგენელმა გამოთქვა - მათი თქმით, ფერმერთათვის ეს კიდევ ერთი მიმზედარტყმაა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა, სუპანია პაინიზაკიმ განაცხადებებს "მცირე გამარჯვება" უწოდა. მისი აზრით, გლობალური ვაჭრობის საბოლოო ლიბერალიზაციისათვის კიდევ დიდი საბრძოლველი უნდა იქნეს. მით უმეტეს, რომ ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებაც კი ძალაში კიდევ საკმაო ხანს ვერ შევა. საამისოდ, ალბათ, კიდევ ორი წელი იქნება საჭირო, რათა ყველა დეტალი გაირკვეს.

მსოფლიო ბანკის ექსპერტთა განცხადებით, გადაწყვეტილება უპირველეს ყოვლისა, ღარიბი სამყაროსთვის არის მომგებელი. თუკი ყველაფერი ისე წავიდა, როგორც სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, მსოფლიო ეკონომიკა 2015 წლისათვის 520 მი-

ლიონ 629 ათასი ლარი დააკლდა. ამასთან, ონოფრიშვილის თქმით, მიმზედარტყმების გამოვლენილი დასავლეთ საქართველოს სხვა სარკინიგზო სადგურებშიც, სადაც სისტემატურად ხდება სამგზავრო მატარებლების თავისუფალი ადგილების სადგურებისათვის გადაცემა და მათ მიერ მიღებისა და რეალიზების წესების დარღვევა. ანუ, ხდება ადგილების დამალვა და მათი ცალკე გაყიდვა, საიდანაც შემოსავალი კონკრეტული ადამიანების ჯიბეებში მიდის და არა რკინიგზის ბიუჯეტში.

მსგავსი ქმედებების გამო, შესაძლებელი გახდა 13 ათას 923 ადგილის დამალვა. გამოვლენილია სხვა უფრო სერიოზული ფაქტებიც.

ონოფრიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ მათ მიერ გაგზავნილი მასალებს გენერალური პროკურატურის მხრიდან შესაბამისი რეაგირება მოჰყვება, ხოლო გენერალური პროკურორი საქმეს პირად კონტროლზე აიყვანს.

24 საათი

ქვემო ქართლს სრული რაზმელება ემუქრება

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის ქვემო ქართლის ფილიალი", მოხმარებელი ელექტროენერჯის საფასურის გადაუხდელობის გამო, ყველა კრედიტორის ქსელიდან თიბებს და ელექტროენერჯის მიწოდებას უწყვეტს.

კრედიტორების ნუსხაში, ყველაზე სოლიდური დევიდენტის მქონე ეს საბიუჯეტო ორგანიზაციები აღმოჩნდნენ: ქალაქ რუსთავის მერია და ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია (10837.23 ლარი), რუსთავის პოლიცია (100899.42 ლარი), ქვემო ქართლის სამხარეო პოლიცია (19991.61 ლარი), საგზაო პოლიცია (17438.86 ლარი) და უშიშროების სამსახური (2109.59 ლარი).

"საქართველოს გაერთიანებული

სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის" ქვემო ქართლის ფილიალის მენეჯერის, რევაზ დელივაშვილის განცხადებით, **"დავლიანების მქონე ორგანიზაციების მიმართ იქამდე არ განახლება ელექტროენერჯის მიწოდება, სანამ მათი მხრიდან არ დაიწყება მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდა. ვალის ჩამოწმარა არ მოხდება, შესაძლებელია აღნიშნული დავალიანების რესტრუქტურისაცია რამდენიმე თვეზე გადაწინდება."**

მსგავსი ღონისძიებებს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის ქვემო ქართლის ფილიალი" სისტემატურად განახორციელებს.

24 საათი

სსფ მემორანდუმში სამ ძირითად აქცენტს სვამს

სავალუტო ფონდის მისია საქართველოში მუშაობას დღეს ასრულებს. გუშინ დელეგაციის წევრები შეხვედნენ ფინანსთა მინისტრს ზურაბ ნოღაიდელსა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ირაკლი მანავაძეს.

როგორც გუშინ გახდა ცნობილი, უკვე მზად არის სავალუტო ფონდის რეკომენდაციითა მემორანდუმი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია სამ საკითხზე: ფისკალური პოლიტიკა, მონეტარული - ფულად-საკრედიტო სისტემა და სტრუქტურული რეფორმა, რომელიც პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებას ითვალისწინებს.

სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელის პაოლო ნეოპოუსის განცხადებით, მემორანდუმის ძირითადი ტექსტი მზად საბოლოოდ 3 კვირისთვის იქნება.

2004 წლის გაზრდილ სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით, მემორანდუმში აღნიშნულია, რომ ფონდის მისი საინიალმდეგო, ჯერჯერობით, არაფერი აქვს.

სავალუტო ფონდის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა 2004 წლის ბიუჯეტის ზრდის მიზეზებზე ისაუბრა. პრეფიციტური ბიუჯეტი, მემონტარული თქმით, საგადასახადო შემოსავლების ზრდამ, მსხვილი ობიექტების პრივატიზაციამ, უკანონო თანხების ამოღებამ და ღარის კურსის გამყარებამ გამოიწვია, რის შედეგადაც საგარეო ვალების მომსახურების ხარჯებიც შემცირდება. შესაბამისად, ამ ცვლილებების სსფ-ს უარყოფითი შეფასება არ მოჰყოლია.

24 საათი

მოკლად

თბილგაზი ხელმძღვანელობის იცვლის

"თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა ნოდარ გობიანიძემ თბილისის საკრებულოს უმრავლესობის მოთხოვნა დააკმაყოფილა და საკრებულოს ინტერფრაქციული ჯგუფის დღევანდელ ხელმძღვანელს უფლებამოსილების მოხსნის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. თუმცა, საკრებულოს დებუტატები, რომელთაც ქალაქის უწყვეტ გაზომარაგებასა და ამონენტთა აღრიცხვის ნივთსთან დაკავშირებით, "თბილგაზის" მმართველ "ახალ მენეჯმენტთან" სამომად მტერი პრეტენზია გააჩნიათ, მხოლოდ გენერალური დირექტორის გადადგომით არ კმაყოფილებიან და კომპანიის ხელმძღვანელობის მთლიანად შეცვლის საკითხს აყენებენ. როგორც ინტერფრაქციული ჯგუფის დღევანდელ ხელმძღვანელ ითქვა, გამორიცხული არ არის, "თბილგაზის" ამჟამინდელი მსგავსი მმართველის სამართლის პასუხისმგებლობის საქმეც აღიდრას.

ხვალ კი საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობის წარმომადგენლები საქართველოს ენერგეტიკისა და ეკონომიკის მინისტრებთან გამართავენ შეხვედრას. შეხვედრა რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენ დავით მორჩილასკს ექება, რომლის კანდიდატურაც ნოდარ გობიანიძის თანამდებობაზე განიხილება.

ინტერ-პრესი

ანტიმონოპოლიური სამსახური "დიდი პრივატიზაციის" მონინააღმდეგებთან კავშირს უარყოფს

ანტიმონოპოლიური სამსახური პრივატიზაციის მონინააღმდეგებებთან კავშირს უარყოფს. "24 საათისთვის" გამოგზავნილ განმარტებაში ანტიმონოპოლიური სამსახური აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის წევრების მიერ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე, სადაც ასოციაციამ ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება გააპროტესტა და ამის პარალელურად კი - პრივატიზაციის წინააღმდეგე გამოვიდა, ანტიმონოპოლიური სამსახური სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული და სამსახურის არავითარი კავშირი პრივატიზაციის წინააღმდეგე მოქმედებებთან არ აქვს. მეტსაც - ანტიმონოპოლიური სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, სამსახური პრივატიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგი არასდროს ყოფილა და ეს საკითხი ამ სამსახურის კომპეტენციაში არც შედის.

24 საათი

საბიუჯეტო ორგანიზაციებს ელექტროენერჯია გაუთიშეს

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებს "თელასის" ელექტროენერჯის მიწოდება შეუწყვიტა. დავალიანების რაოდენობა 4 მილიონ ლარს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ობიექტების დავალიანება 579.984 ლარს შეადგენს.

"თელასის" განცხადებით, აღნიშნული ღონისძიების გატარების თაობაზე კომპანიამ ჯერ კიდევ 28 ივლისს გააფრთხილა ენერგეტიკისა და ფინანსთა სამინისტროები, თუმცა დღემდე ამ ორგანიზაციებისგან დაფინანსება არ მიუღია. ელექტროენერჯის მიწოდება შეუწყდათ სასტორის დაცვის დეპარტამენტს, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციას, თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე ობიექტს და სხვ.

ბუღალტარი

სამუშაო ადგილი: თბილისი
საშუაშოს აღწერა:
თქვენს, როგორც ბუღალტრის პასუხისმგებლობაში შევა კომპანიის ფინანსური საქმიანობის წარმატებით ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა და კოორდინირება, საქართველოსა და აზერბაიჯანში, თბილისში ბაზირებული ოფისიდან.

ფუნქციები და პასუხისმგებლობები

- ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:
 - ფინანსური დოკუმენტაციის წარმოება, როგორცაა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ანგარიშები, სახელფასო უწყისები, საერთო საბუღალტრო ნივთი, ჩანაწერები კაპიტალური აქტივების შესახებ და ბიუჯეტები.
 - მონაცემების შეტანა და სამუშაო გრაფიკების შესწორება
 - ყოველთვიური ბილანგის (ქვითრების) და ინვოისების, ფინანსური უწყისების, ანგარიშებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება;
 - ხარჯებისა და ფულის მომოქციების მონიტორინგი;
 - საგადასახადო ანგარიშების მომზადება და დახმარება ნლიური ბიუჯეტის შედგენისას
 - თქვენ ასევე ზედამხედველობა უნდა გაუწიოთ ადმინისტრაციულ ასისტენტს, მათი მოვალეობების შესარულებისას.

გამოცდილება და განათლება

- კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:
 - უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი ფინანსურ სფეროში, ან მისი ექვივალენტი;
 - ბუღალტერიის ან ფინანსურ სფეროში მუშაობის მინიმუმ 2 წლის გამოცდილება
 - ქართული, ინგლისური და რუსული ენების კარგად ცოდნა
 - კომპიუტერული პროგრამების MS Word-ის და MS Excel-ის კარგად ცოდნა.

ადმინისტრაციული ასისტანტი

სამუშაო ადგილი: თბილისი
სამუშაოს აღწერა:
როგორც ადმინისტრაციულ ასისტენტს, თქვენ დაგეგვალეხთ საქართველოში კომპანიის ოფისის საქმიანობის წარმატებით კოორდინირება.

ფუნქციები და პასუხისმგებლობები:

- ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს:
 - ოფისის მუშაობის კოორდინირება, მდივნის ფუნქციის შესრულების ჩათვლით;
 - მგზავრობისა და მივლინებების ორგანიზება;
 - თანამშრომლების მუშაობის გრაფიკების წარმოება;
 - პირადი საკონტაქტო სიების შედგენა;
 - დოკუმენტების განაწილება;
 - კორესპონდენციის განაწილება, სატელეფონო და რადიო-შეტყობინებების მიღება;
 - დოკუმენტების შედგენა და ჩანაწერების წარმოება;
 - სტუმრების და კონტრაქტორების მიღება და დახმარება;
 - საჭიროებისამებრ - ადმინისტრაციული დახმარების განევა საქართველოში კომპანიის წარმომადგენლისათვის,

გამოცდილება და განათლება

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:

განაცხადის შუამოხანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ მიგაჩნიათ, რომ თქვენ გაქვთ რომელიმე ამ თანამდებობისთვის საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება, გავზავნეთ თქვენი ბიოგრაფია/CV ელექტრონულ მისამართზე: msherat@azdata.net ან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბორჯომის საინფორმაციო ცენტრში, მისამართზე: ბორჯომი, რუსთაველის ქუჩა 129.

გთხოვთ მიუთითოთ, თუ რომელი თანამდებობის დაკავება გსურთ და რა ადგილას, თქვენი განაცხადის პირველ სტრიქონზე. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 13 აგვისტო, 2004 წ.

საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

ლიარდი დოლარი გამოიდრდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განაცხადების მიღება, ერთი მხრივ, კიდევ უფრო გააღრმავებს კონტრასტს "ჩრდილოეთისა და სამხრეთის" შორის - ეს უკანასკნელი კიდევ უფრო გააღრმავებს საოფლის მდგრადობის პროდუქციას, ხოლო მდგრადი სამყაროს მრეწველობისათვის ახალი ბაზრები გაიხსნება.

შეთანხმების ძირითადი მომენტები: ფერმერთათვის სუბსიდიების გაუქმება (ჯერჯერობით, ვადები გარკვეული არ არის);

მაკროეკონომიკის სხოფლო მეურნეობის განვითარებისათვის სახელმწიფო დახმარების გამოყოფაზე; განვითარებადმა ქვეყნებმა უნდა შეამცირონ სამომავლო ტარიფები სამრეწველო საქონელზე; საბაჟო პროცედურები უნდა გამარტივდეს.

ოთხნობიანი დავა მთავრდება

მეოთხე წელიწადია, თბილისის საოლქო სასამართლოში მოქალაქე ყურამვილა და სამშენებლო კომპანია "მთაწმინდა 98"-ს შორის სასამართლო პროცესი ვრცელდება. ბოლო პროცესი გუშინ იყო დანიშნული, მაგრამ ერთ-ერთი მოსამართლის გამოუცხადებლობის გამო ოქტომბრის დასაწყისისთვის გადაიდო. სასამართლო დავის მიზეზი კი გახლავთ მთაწმინდის ქუჩაზე თითქმის აშენებული მრავალსართულიანი სახლი, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ შარშან თბილისის საკრებულოში დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი, სახლი მამადავითის ეკლესიას ფარავსო.

სცადა. ჩვენ რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ, შემოგვთავაზა, ეს ფართი დავეთმო, საბაგიროდ კი აშენებულ სახლში 200 კვადრატულ ფართს მოგვცემდა. პირობა ასეთი იყო, 200 კვადრატული მეტრი ფართის ბინის ღირებულებას 20 კვადრატული მეტრის ღირებულება გამოაკლდებოდა, დანარჩენს კი გადავიხდიდი. 1999 წლის 9 დეკემბერს ხელშეკრულება გაფორმდა, სადაც აღნიშნულია, ვითომ კომპანიას 20 კვადრატული მეტრის ღირებულება 4300 ლარი გადაუხადეთ. დანარჩენში კი კომპანიის ხელმძღვანელი სიტყვიერად ვენდეთ, მაგრამ მხარედ მოეცუდით. თანაც, კომპანიას ჩვენი შევიწროვებდა არ შეუწყვეტია, ცოტა ხანში 12 კვადრატული მეტრი კიდევ ნავაგარა, კედელი ამოაშენა და რაც არანაკლებ გვანუხებს, სახლის ფანჯრები ჩვენი ეზოს მხარეს გამოჭრა," - ჩივიან ყურამვილები. კომპანია "მთაწმინდა 98"-ის წარმომადგენელი გიორგი ბეგიაშვილი კი ირ-

წმუნება, რომ ეზოს სადავო ნაწილი ყურამვილებს არ ეკუთვნის. "მაგარი ეზოსა და ჩვენს სახლს შორის ბუფერული ზონა იყო, შემდეგ ვითომ ამ ნაწილის პრივატიზება გააკეთეს, დოკუმენტებიც აქვს, მაგრამ ყალბია," - აცხადებს ბეგიაშვილი. როცა "მთაწმინდა 98"-მა მშენებლობის პროექტი შეათანხმა, ყურამვილებს ეზო პრივატიზებული მართლაც არ ჰქონდათ, მაგრამ დანიშნულების შეცვლა, 2000 წლის 28 ივნისს გაფორმეს (მათი საკუთრების დამადასტურებელია საკადასტრო მეტრი (რომელიც ყურამვილებს მიეცათ), კომპანიას გარკვეული პირობით დაუთმო) აღნიშნული არ არის. საბაგიროდ აღნიშნულია 12 კვადრატული მეტრი, რომელიც კომპანიამ საკადასტრო მეტრის დამატების შემდეგ მიითვისა. ყურამვილებს აქვთ 2002 წლის 26 თებერვლს გაკეთებული

ექსპერტის დასკვნაც, სადაც აღნიშნულია, რომ კომპანია ყურამვილებს ტერიტორიაზე 12 კვადრატული მეტრით არის გადასული. რაც შეეხება ფანჯრებს, არსებობს ყოფილი მთავარი არქიტექტორის მამუკა ჩხაიძის წერილი, სადაც ჩხაიძე აცხადებს, რომ "მთაწმინდა 98"-მა სამშენებლო ნორმები დარღვევა და ფანჯრის ღიობები უნდა გააუქმოს. სამშენებლო ნორმების მიხედვით, როცა სახლი მეზობელი ნაკვეთის საზღვარზე შენდება, მეზობლის ნებართვის გარეშე ფანჯრების გაჭრის უფლება არ აქვს. ამ ყველაფრის მიუხედავად, სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლობა დარწმუნებულია, რომ სასამართლო პროცესსაც მოიგებს და ყურამვილებს 4 წლის მანძილზე შეჩერებული მშენებლობისგან მიყენებულ ზარალს, 500 ათას ლარსაც აანაზღაურებინებს. "სწორედ ყურამვილების დოკუმენტებზე დაყრდნობით დავამტკიცებთ, რომ ეზოს სადავო ნაწილი მათი კუთვნილება არ არის. მაგათი მიზეზით

500 ათასი ლარით დავზარალდით და სანამ სასამართლო პროცესი დასრულდება, ზარალი უფრო გაიზარდება. 28 ოჯახს, ვინც ადრე მთაწმინდის ქ. 12/14-სა და ქონქაძის ქ. 24-ში ცხოვრობდა და ვინც ბინით უნდა დავაკაყოფილოთ, 4 წელით, ბინის ქირას ვუხდით. ხალხი გადარეულია, რამდენ ხანს უნდა ელოდონ მშენებლობის დასრულებას. ამ საქმეს აქამდე უფრო რბილად ვეკიდებოდით, მაგრამ ახლა აღარ დავთმობთ და მომიჩინა მხარეს ზარალს ავანაზღაურებინებთ," - იმუქრება გიორგი ბეგიაშვილი. შარშან აღნიშნული სახლის მეზობელი საკრებულოში ამტყდარი აჟიოტაჟი მალევე ჩაჩუმდა. საქმის ისეთი პირი უჩანს, არც ყურამვილების მიერ ნაშრომებულ ბრძოლას ექნება შედეგი, ყოველ შემთხვევაში, უკვე მეოთხე წელია, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას აგვიანებს.

მეცნიერის წვლილი და ოცნება „მეგობრობის ხიდის“ ბაზარებაში

დომიტრი ცეცხლაძე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ოფიციალური წარმომადგენელი იყო თურქეთში. პარალელურად სამსუნის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს, ხოლო ოჯახებში ბავშვებს "დიდა ენას" ასწავლიდა, გადააქონდა ქართული ლიტერატურა და მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ქართულ დიასპორასთან. ასლან აბაშიძის "წყალობით", დიდი ხნის განმავლობაში ბათუმში არ დაედეგობოდა. ჯერჯერობით, ცხოვრობს თურქეთში. მისი ოცნებაა თურქეთში ქართული კულტურული ცენტრის გახსნა.



პრეზიდენტი ენობა დომიტრი ცეცხლაძის წიგნის მაკეტს

ლელა მარბიანი

"დღეს ყველაზე მეტად გჭირდება მეგობარი, არა მარტო ცალკეულ ადამიანებს, არამედ ერებსა და ქვეყნებს შორის, რადგან ოცდამეერთე საუკუნის გადასახედიდან დედამიწა არც ისე დიდი აღმოჩნდა, როგორც წარმოგვედგინა. მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან ჩაკეტილმა სარფის კარმა და რკინის ფარდა ერთმანეთს დაგვაშორა უძველესი მეზობლები, გათიშა ძველი მეგობრები, ახლობლები, ნათესავები. გვერდიგვერდ ვცხოვრობდით და ერთმანეთის არ ვგეხმოდით. უფრო სწორად, გვეხმოდა, მაგრამ შიშით ხმას ვერ ვიღებდით. სარფის გაღმა-გამოღმა მცხოვრებნი ახლობლის გარდაცვალებას ერთმანეთს სიმღერით ატყობინებდნენ" - ეს სიტყვები ბატონი დომიტრის ჯერ კიდევ დაუბეჭდავი წიგნის "მეგობრობის ხიდი" წინასიტყვაობაში ამოვიკითხე.

რიგდება საჩუქრად და პირადად გადაეცემა თურქეთსა და საქართველოში მოღვაწე გამოჩენილ ადამიანებს. ბატონი დომიტრის ინფორმაციით, წიგნის "მეგობრობის ხიდის" მაკეტი 2004 წლის 21 მაისს სტამბულში ქართულ დიასპორასთან შეხვედრისას ნახა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და შიონია მისი შექმნის იდეა. ამიტომ, ავტორის დიდი სურვილია, წიგნის სასიგნალო ეგზემპლარების გამოცემა მოხერხდეს 9-11 აგვისტოსთვის, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის მონაწილეობით, თბილისსა და ბათუმში ჩამოვა თურქეთის რესპუბლიკის დიდი დელეგაცია. წიგნზე მუშაობის ოთხი წლის მანძილზე ბატონი დომიტრის მოსვენებას არ აძლევდა მეორე დიდი ხნის ოცნების განხორციელების იდეა, რომელიც ეხება თურქეთში, ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში სამეცნიერო-სასწავლო-კულტურული ცენტრის გახსნას, სადაც იქაური ქართველობა ისწავლის. ეს მათ შესაძლებლობას მისცემს სწავლა-განათლება გააგრძელონ საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებში. "ცენტრის გახსნა კი მათ მისცემს საშუალებას, ისწავლონ ის საგნები, რომელიც მათ საქართველოს სასწავლებლებში ჩასაბერებლად სჭირდებათ. ეს კარგი საქმე იქნება და იქაური ქართველი ახალგაზრდობა პირს იპოვებს დედა-საქართველოსკენ. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტი მათ ორგანიზაციის მუშაობის მიღებას დაპირდა" - აცხადებს დომიტრი ცეცხლაძე.

"თურქეთსა და საქართველოს შორის ზუსტად თორმეტი წელია (1992 წლის 30 ივლისს), დაიღობა ხელშეკრულება სასწავლებლების გახსნის თაობაზე. მართლაც, თურქეთმა თბილისსა და ბათუმში დიდი ხანია გახსნა კოლეჯები და უმაღლესი სასწავლებლები, ხოლო ქართულმა მხარემ, წინა ხელისუფლების პირობებში, რატომღაც ვერ მოახერხა ქართული სასწავლო დაწესებულებების გახსნა თურქეთში. იმედია, ახალი ხელისუფლება ამ საჭირობოტო საკითხს უყურადღებოდ არ დატოვებს და გაიხსნება ქართული თურქულ-ინგლისურენოვანი ჯერ კოლეჯი, ხოლო შემდგომში რამდენიმე ფაკულტეტიანი უნივერსიტეტი - იმედს არ კარგავს თურქეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერი.

sakartvelo.info LTD
Kedi/McCANN Group
ლინკმედია LINK MEDIA

WEB DESIGN STUDIO

ვებ დიზაინის სტუდია

სიახლე ინტერნეტ სფეროში!

ფუნქციონირება დაიწყო ახალმა ვებ დიზაინის სტუდიამ. რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. სტუდიაში მუშაობენ შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომლებიც ამზადებენ ორგანიზაციის და მაკეტინგის საიტებს ვებ გვერდებს. თქვენი სურვილის შესაბამისად საიტი აღჭურვილი იქნება მონაცემთა ბაზით. გამოკითხვათა და საბიუჯეტის მიხედვით, სტუდიამ წინააღმდეგობა მოუწია ბრძოლისთვის საიტის დამზადების შედეგად და დროულად განახლდა იგი.

ყურადღება! პირველ ათ დამკვეთს ვებ დიზაინის სტუდია 3 თვე მოემსახურება 50% ფასდაკლებით და თქვენი ბანკით 1 თვის განმავლობაში განთავსდება ვებგვერდის კოხვად ინტერნეტ გვერდზე www.sakartvelo.info-ზე, სადაც უფასო დევიზიტად 2 000 000 შეიძლება გაიყოს თქვენი საქმიანობა. არ ჩამორჩეთ დროს! გჭონდეთ თქვენი ვებ გვერდი!

თბილისი ქ. 13^ა; ტელ.: 8 77 50 15 00 e-mail: gaa@advertising.ge

კასპი ცემენტი



მამრ ბაბაშვილი, დირექტორი

კასპის ცემენტის ქარხანაში მეორე ღუმელი ამოქმედდა. ქართველმა ინვესტორმა "ინტერტრანსმა" სოლიდური ინვესტიცია განახორციელა. ინვესტიციის რაოდენობა ერთ მილიონ აშშ დოლარს აღემატება. პოსტსტაბილური სივრცეში სრულიად უნიკალური დანადგარის მშენებლობით წარმოება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება და ქარხანა შეძლებს თვეში 50 ათასი ტონა ცემენტის გამოშვებას.

თამარ ჯაჭანიძე

გუშინ, 2 აგვისტოს კასპში ახალი მზრუნავი ღუმელის საზეიმო პრეზენტაცია მოეწყო. პრეზენტაციას საქართველოს პარლამენტის წევრები, მხარის გუბერნატორი და სხვა საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ. სტუმრებმა დათვალიერეს სამართავი პულტები და ახალი დანადგარის მუშაობის პრინციპებს გაეცნენ. 1994-1999 წლებში კასპის ცემენტის ქარხანაში ცემენტის გამოშვება, ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო. ქარხანა, რომელიც წელიწადში 966 ათას ტონა ცემენტს აწარმოებდა, გაიძარცვა და გააპირდა. უშუალოდ დარჩენილი მოსახლეობამ სამუშაოდ დიდ ქალაქებს მიაშურა. ქარხანაში შემორჩენილი მუშა-მოსამსახურებზე გაუცემელი ხელფასების რაოდენობამ 520 ათასი ლარი შეადგინა. 2000 წელს ქარხნით ინტერესდება სოლიდური ინვესტორი შ.პ.ს. "ინტერტრანსი". იწყება ქარხნის განვიწროვების ახალი პროექტების შემუშავება. იგეგმება წარმოების აღდგენის ორსაფეხურიანი პროგრამა. ხალხი უბრუნდება სამუშაო ადგილებს. "ამჟამად ქარხანა ორი მესამედი დატვირთვით მუშაობს. ქარხნის ამუშავება მთლიანად ჩვენი ძალებით მოხდა. ახალი ღუმელის გამოშვება შესაძლებელი გახდა წარმოების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა. ახალი დანადგარი უაფროდ გაიშვა წარმოებაში. მოსამსახურე პერსონალი 40 კაციტ გაიზარდა. პერსპექტივაშია მესამე ღუმელის გამოშვებაც. დასაქმებულია 750 კაცი, რომელთა საშუალო ხელფასი 253 ლარს შეადგენს," - აცხადებს ქარხნის მთავარი ინჟინერი მამუკა ბერბანიძე. კასპის ქარხნის დირექტორის მამუკა სულაძის განცხადებით სანარმოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2000 წლიდან დღემდე გადახდილი აქვს

4457290 ლარი, მათ შორის ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია 1452000 ლარი. "ეს კიდევ ერთი სიგნალია, რომ საქართველოში ეკონომიკა წინ მიდის. ინვესტორები საქართველოში ინვესტირებთ და ინტერესებულნი არიან. მეორე სასიკეთო მხარეა ხალხის დასაქმება. კასპში 100 ოჯახი დასაქმდა. მე კარგად მახსოვს, რა ცუდ დღეში იყო კასპის ქარხანა. ამ ახალი დანადგარის ამუშავება უკვე წინსვას, რომ საქართველოში ცემენტი იქნება. ახლა მთავარია საქართველოში იყოს ბევრი კანონიერი მშენებლობა მთელი ქვეყნის მასშტაბით," - აღნიშნავს პარლამენტარი მიხეილ მაჭავარიანი პრეზენტაციის შემდეგ. დღეისათვის "კასპიცემენტი" და "რუსთავეცემენტი" ერთ სააქციო საზოგადოებად "საქცემენტად" არის გაერთიანებული და სწორედ ამ ნიშნით მყარდება ბიზნესურიტირეტიტუტ სტრატეგიულ მყიდველებთან. დღეისათვის ქართული ცემენტი აზერბაიჯანშიც მიმდინარეობს მშენებლობები. იმედია, ახლო მომავალში ექსპლუატაციაში შესული ახალი ღუმელის მეშვეობით საქართველოში ცემენტის წარმოება მართლაც გაიზარდება და შესაბამისად ბიუჯეტშიც მოიმატებს შენატანები.



ადამიანის უფლებები ციხეში და გარეთაც ერთნაირად ირღვევა

ხათუნა ჯანბირაშვილი

“სამწუხაროა, რომ ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტებზე ძალიან ხშირად ვკინევს საუბარს,” - წუხს “თავისუფლების ინსტიტუტის” წევრი და ომბუდსმენობის კანდიდატი სოზარ სუბარი. მან გუშინწინ, №1 საპრობილემო მსჯავრდებულები მონახულა და როგორც აცხადებს, მათ უმრავლესობას წამების ნიშნები ერთი შეხედვითაც შეამჩნია. №1 საპრობილემო სოზარ სუბარის შესვლის მიზეზი მსჯავრდებულების საჩივარი გახდა, რომელიც სამი დღის წინ იუსტიციის მინისტრის, სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის სახელზე და გენერალური პროკურატურის მისამართით დაიწერა.

